დუგა

1

სოფლის მიმნდობთა ბოლო აქვთ შხამად,
ლხინი, შექცევა თვალისა წამად.

2

არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა.
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავ ღამესა.

3

გვედრი, თვით მიხვდე, დ მიკვირს, ცნობა მეძნელებიან,
რასაცა მარად თვალნი ჩემნი გეუბნებიან.

4

შენთვით ხელობა თუ ვინ მიზრახოს,
რაბამათ შერცხვეს, თუ თვალით გნახოს.

5

თუ დიდი ლხენა ან ჭმუნვა გვამიზეზებდეს სიკვდილსა,
ვითღა რჩეს სული მოყვსისა, თან მხლესა ანუ შორქმნილსა.

6

სამოთხის შვება რამ მაცნობა, დ მითხრაცა ენამ,
იმასთან ყოფნამ, მისმან ჭრვეტამ და მისმან სმენამ,

7

კვლავ მარად ჩემსა სურვილსა იმედი წინ უძღოდა,
აწ სურვა გულსა კვლაებრ სწვამს, მაგრამ ვარ უიმედოდა.

8

ვინ იცის ჩემნი ტანჯვანი ბნელი დღისა თუ ღამისა,
ტრფობისა კიდე რა შესწამს? მიზეზიცა ვსთქვა ამისა.

9

ოდენ ხმა შენი მესმოდეს, ოდეს შენს სახეს ვხედვიდე,
ესე რომ მწყურდეს ამისთვის რას ვგმობდე, ან რას ვცოდვიდე!

10

ვინც გიხილოს, ინატვრიდეს კვლავცა გნახოს, კვლავცა გნახოს,
გნახოს ცნობას ისურვიდეს და რა გიცნას შენთვის ახოს.